სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №27010401/83

ქ. თბილისი **7 ივლისი 2022 წელი**

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, გიორგი ჭანტურიას სახით და მეორე მხრივ, ფ/პ ლევანი სადღობელაშვილი (შემდგომში - „მიმწოდებელი“) (შემდგომში წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №SSA22200049039 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „შემსყიდველის“ საჭიროებისთვის, მცხეთა - მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრში - ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №13-ში, 2 (ორი) ცალი გამაგრილებელი მოწყობილობის (კონდიციონერები) შეკეთება და ახალგორის რაიონული განყოფილებაში - მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი, დევნილთა ახალი დასახლება, მე-13 რიგი, კოტეჯი 687-ში, 1 (ერთი) ცალი კონდიციონერის მონტაჟის მომსახურების (შემდგომში - „მომსახურება“ ან „შესყიდვის ობიექტი“; CPV კოდი 50700000; 50730000) გამარტივებული შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1000.00 (ათასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი/მოსაკრებელი/სახდელი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. სამუშაოს შესრულების ვადა, ადგილი და სხვა პირობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2. სამუშაოები უნდა განხორციელდეს მისამართზე:

4.2.1. კონდიციონერების შეკეთება - ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №13.

4.2.2. კონდიციოენერის მონტაჟი - მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი, დევნილთა ახალი დასახლება, მე-13 რიგი, კოტეჯი 687.

4.3. „მომსახურების“ ხარისხსა და ვარგისიანობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „მომსახურების“ გაწევასთანავე, წერილობითი სახით ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტი, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი ინვოისისა და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების სრულად (ერთობლივად) წარმოდგენის გარეშე ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.1.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება.
7.4. „შემსყიდველს“ უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

8. ფორს-მაჟორი
8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა
10.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული (კალენდარული) დღისათვის.
11.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით ანაზღაურება.
11.4. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზრაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

12. ხელშეკრულების კონტროლი
12.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, ახალგორის რაიონული განყოფილების უფროსი: მარინე ღამბაშიძე.
12.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
12.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
12.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

13. ხელშეკრულების ენა
13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
14.2. ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.
14.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
14.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.
14.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

16. დასკვნითი დებულებები
16.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
16.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
16.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

16.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
16.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
16.6. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
16.7. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
16.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული შტამპით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

17. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი"
სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის №51 საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927	ფ/პ ლევანი სადღობელაშვილი მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი, დევნილთა ახალი დასახლება, მე-17 რიგი, კოტეჯი 1010 ა/ნ: GE24LB0711107508113540 პ/ნ: 50001000729
LEPL SOCIAL SERVICE AGENCY Digitally signed by LEPL SOCIAL SERVICE AGENCY Date: 2022.07.07 10:14:25 +04'00'	
გიორგი ჭანტურია **სააგენტოს დირექტორის მოადგილე**	**ლევანი სადღობელაშვილი**